

სს „თბილისის სასკოლო ინვენტარის ფაბრიკა“

ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	2
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	3
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	4
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	5
1. ძირითადი ინფორმაცია	6
2. მომზადების საფუძველი	7
3. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა	8
4. შეცდომების გასწორება	15
5. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	16
6. დებიტორული დავალიანება მიწოდებიდან და მომსახურებიდან	16
7. ავანსები და წინასწარ გაწეული ხარჯები	17
8. სასაქონლო-მატერიალური მარაგი	17
9. წინასწარ გადახდილი გადასახადები	17
10. სხვა მიმდინარე ქტივები	18
11. ძირითადი საშუალებები	19
12. საინვესტიციო ქონება	19
13. ვალდებულებები, წარმოქმნილი მიწოდებიდან და მომსახურებიდან	20
14. შემოსავალი რეალიზაციიდან და მომსახურებიდან	20
15. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	21
16. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	21
17. ფინანსური აქტივების და ვალდებულების სამართლიანი ღირებულება	21
18. რისკების მართვა	22
19. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან	25
20. გაუთვალისწინებელი გარემოებები	25
21. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები	27

სს „თბილისის სასკოლო ინვენტარის ფაბრიკა“

ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(1 ლარი)

	საანგარიშგებო პერიოდი			შენიშვნა
	31.12.2019	31.12.2018	01.01.2018 გადაანგარიშებული (შენიშვნა 4)	
აქტივები				
მიმდინარე აქტივები, სულ:	4,446,690	3,944,539	4,324,714	
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	3,432,890	2,901,242	3,072,151	5
დებიტორული დავალიანება მიწოდებიდან და მომსახურებიდან	334,502	369,339	396,730	6
ავანსები და წინასწარ გაწეული ხარჯები	1,942	1,001	945	7
სასაქონლო-მატერიალური მარაგი	623,464	658,040	795,016	8
წინასწარ გადახდილი გადასახადები	45,516	8,879	54,381	9
სხვა მიმდინარე აქტივები	8,377	6,037	5,491	10
გრძელვადიანი აქტივები, სულ:	2,333,917	2,406,297	1,682,248	
ძირითადი საშუალებები	1,429,505	1,478,610	1,483,103	11
საინვესტიციო ქონება	902,962	925,954	197,129	12
არამატერიალური აქტივები	1,450	1,733	2,016	
სულ აქტივები:	6,780,607	6,350,836	6,006,961	
ვალდებულებები და კაპიტალი				
მოკლევადიანი ვალდებულებები, სულ:	19,296	16,900	18,994	
ვალდებულებები, წარმოქმნილი მიწოდებიდან და მომსახურებიდან	7,699	6,340	10,914	13
გადასახდელი დივიდენდები	9,807	8,752	7,522	
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	1,790	1,807	558	
სულ კაპიტალი:	6,761,310	6,333,936	5,987,967	
საწესდებო (სააქციო) კაპიტალი	488,769	488,769	488,769	
დაგროვილი მოგება / დაუფარავი ზარალი	6,272,541	5,845,167	5,499,198	
ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი				
სულ ვალდებულებები და კაპიტალი:	6,780,607	6,350,836	6,006,961	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2020 წლის 30 სექტემბერს შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორი ----- უზანგი ბექურაიძე

მთავარი ბუღალტერი ----- ქეთევან სიღამონიძე

თანდართული შენიშვნები მე-6 დან 27-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

სს „თბილისის სასკოლო ინვენტარის ფაბრიკა“

ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(1 ლარი)

	საანგარიშგებო პერიოდი		შენიშვნა
	2019	2018	
	გადაანგარიშებული		
	(შენიშვნა 4)		
შემოსავალი რეალიზაციიდან და მომსახურებიდან	1,731,048	1,662,298	14
რეალიზებული პროდუქციის/გაწეული მომსახურების თვითღირებულება	(406,191)	(384,131)	15
საერთო მოგება	1,324,857	1,278,166	
მიწოდების ხარჯები	(750)	(850)	
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(727,290)	(730,723)	16
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯები	(218,216)	(198,121)	
სულ საოპერაციო ხარჯები:	(946,257)	(929,694)	
მოგება/ზარალი ძირითადი საშუალების რეალიზაციიდან	5,395	3,823	
დადებითი საკურსო სხვაობები	95,297	40,323	
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები	1,480	728	
სულ არასაოპერაციო შემოსავლები:	102,173	44,874	
უარყოფითი საკურსო სხვაობები		(4)	
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	(321)	(506)	
სულ არასაოპერაციო ხარჯები:	(321)	(510)	
მოგება დაბეგვამდე:	480,451	392,837	
მოგების გადასახადის ხარჯი	(7,795)	(6,836)	
წლის წმინდა მოგება	472,656	386,001	
წლის სრული შემოსავალი:	472,656	386,001	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2020 წლის 30 სექტემბერს შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორი ----- უშანგი ბექურაიძე

მთავარი ბუღალტერი ----- ქეთევან სიღამონიძე

თანდართული შენიშვნები მე-6 დან 27-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

სს „თბილისის სასკოლო ინვენტარის ფაბრიკა“

ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

(საოპერაციო საქმიანობიდან ნაკადების წარდგენის პირდაპირი მეთოდით)

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(1 ლარი)

	საანგარიშგებო პერიოდი	
	2019	2018
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან:		
მყიდველებისა და დამკვეთებისაგან მიღებული ფულადი სახსრები	2,019,579	1,900,554
სხვა შემოსულობანი საოპერაციო საქმიანობიდან		
მიმწოდებლებზე გაცემული ფულადი სახსრები	(503,813)	(500,134)
გაცემული შრომის ანაზღაურება	(442,040)	(428,655)
სამივლინებო ხარჯების ანაზღაურება	(12,004)	(15,631)
გადახდილი გადასახადები	(434,903)	(325,670)
საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა გაცემები	(9,405)	(1,181)
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საოპერაციო საქმიანობიდან	617,414	629,282
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან:		
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შეძენა	(147,507)	(811,676)
ძირითადი საშუალებებისა და არამატ. აქტივების გასვლიდან შემოსულობანი	8,338	7,906
მიღებული პროცენტები	68	60
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საინვესტიციო საქმიანობიდან	(139,101)	(803,710)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან:		
გადახდილი დივიდენდები	(41,963)	(36,800)
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საფინანსო საქმიანობიდან	(41,963)	(36,800)
ვალუტის კურსის ცვლილებებით გამოწვეული ზრდა / კლება (ნეტო)	95,297	40,319
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი:	531,648	(170,909)
ფულადი სახსრები (ეკვივალენტები) პერიოდის დასაწყისისათვის:	2,901,242	3,072,151
ფულადი სახსრები (ეკვივალენტები) პერიოდის ბოლოსათვის:	3,432,890	2,901,242

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2020 წლის 30 სექტემბერს შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორი ----- უმანგი ბექურაიძე

მთავარი ბუღალტერი ----- ქეთევან სიღამონიძე

თანდართული შენიშვნები მე-6 დან 27-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

სს „თბილისის სასკოლო ინვენტარის ფაბრიკა“

ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(1 ლარი)

	სააქციო კაპიტალი	გაუნაწილე ბელი მოგება	სულ კაპიტალი
ნაშთი 1 იანვარი 2018 გადანაგარიშებული (შენიშვნა 4)	488,769	5,499,198	5,987,968
წლის მოგება		386,001	386,001
გადახდილი დივიდენდები		(40,032)	(40,032)
ნაშთი 31 დეკემბერი 2018 გადანაგარიშებული (შენიშვნა 4)	488,769	5,845,167	6,333,936
წლის მოგება		472,656	472,656
გადახდილი დივიდენდები		(45,282)	(45,282)
ნაშთი 31 დეკემბერი 2019	488,769	6,272,541	6,761,311

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2020 წლის 30 სექტემბერს შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორი ----- უშანგი ბექურაიძე

მთავარი ბუღალტერი ----- ქეთევან სიღამონიძე

თანდართული შენიშვნები მე-6 დან 27-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

სს „თბილისის სასკოლო ინვენტარის ფაბრიკა“

ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

1. ძირითადი ინფორმაცია

კომპანია და მისი საქმიანობა

სს „თბილისის სასკოლო ინვენტარის ფაბრიკა“ (შემდგომში „კომპანია“) დაარსდა და საგადასახადო ორგანოში დარეგისტრირდა 1997 წლის 17 ივნისს.

კომპანიის საქმიანობას წარმოადგენს ხის ავეჯის და ინვენტარის წარმოება/რეალიზაცია და კომერციული ფართის იჯარით გაცემა. კომპანიის იურიდიულ და ფაქტობრივ მისამართს წარმოადგენს საქართველო, თბილისი, დიდუბის რაიონი, კედის ქ., №15.

გამოშვებული და განთავსებული ფასიანი ქაღალდების რაოდენობა - 488,769 ცალი, თითოეული 1 ლარის ნომინალური ღირებულებით. სულ კომპანიის საწესდებო კაპიტალი შეადგენს 488,769 ლარს;

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის აქციონერები იყვნენ:

დასახელება	აქციების რაოდენობა	წილი %
ივანიშვილი ბორის	133,934	27.40%
გაფრინდაშვილი ნინო	72,960	14.93%
კოშაძე თინათინი	57,520	11.77%
სხვა	224,355	45.9%

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

დასახელება	აქციების რაოდენობა	წილი %
ივანიშვილი ბორის	133,934	27.40%
გაფრინდაშვილი ნინო	72,960	14.93%
კოშაძე თინათინი	57,520	11.77%
სხვა	224,355	45.9%

2. მომზადების საფუძველი

კომპანიის 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოქვეყნებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის და პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით.

საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა და აგრეთვე ვალუტა რომელშიც არის წარმოდგენილი კომპანიის ფინანსური ანგარიშგება. კომპანიის ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 1 (ერთი) ქართული ლარის სიზუსტით.

ფინანსური ანგარიშგების „ფასს“-თან შესაბამისობით მომზადება მენეჯმენტისგან ითხოვს დაშვებების, შეფასებებისა და მოსაზრებების გამოთქმას, რომლებიც მოქმედებენ ფინანსური აღრიცხვის პოლიტიკების გამოყენებასა და აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლისა და ხარჯების, ასევე პირობითი აქტივებისა და ვალდებულებების ანგარიშგებულ თანხებზე. ფაქტობრივი შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს ხსენებული შეფასებებისგან. შეფასებები და ძირითადი დაშვებები მუდმივად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების აღიარება ხდება იმ პერიოდში, როდესაც ხდება შეფასებების გადახედვა და ასევე შესაბამის მომავალ პერიოდებში.

მენეჯმენტის მოსაზრებით, ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას არ არსებობს კრიტიკული გადაწყვეტილებები, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს ფინანსური ანგარიშგების მუხლებში აღიარებულ თანხებზე და არ არსებობს ვარაუდები და შესაძლო გაურკვევლობები, რომელიც შეიძლება შეიცავდეს არსებითი კორექტირებების მნიშვნელოვან რისკებს მომავალი ფინანსური წლის შედეგებზე.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებად საწარმოს დაშვების საფუძველზე, და ხელმძღვანელობას მიაჩნია რომ კომპანია მომავალშიც დარჩება ფუნქციონირებად საწარმოდ და შეძლებს თავისი აქტივების რეალიზაციასა და ვალდებულებულებების დაფარვას ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში.

3. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა

ქვემოთ მოცემულია ის არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა, რომლის მიხედვითაც მოხდა კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადება.

ა) შემოსავლების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხდება მომსახურების გაყიდვიდან ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მისაღები ან მიღებული თანხის სამართლიანი ღირებულებით.

შემოსავლები აღიარდება, როდესაც არსებობს სარწმუნო მტკიცებულებები, როდესაც მყიდველს გადაეცემა მნიშვნელოვანი რისკები და საკუთრების უფლება მომსახურებაზე,

რეალიზებული მომსახურების ფასდათმობა აღიარებულია შემოსავლის შემცირების გზით, გაყიდვების აღიარებასთან ერთად.

ბ) ფინანსური შემოსავლები და ხარჯები

კომპანიის ფინანსური შემოსავლები და ხარჯები მოიცავს ფინანსურ აქტივებზე და ფინანსურ ვალდებულებებზე უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეულ შემოსავლებსა და ხარჯებს.

უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით მიღებული სარგებელი ან ზარალი წარმოდგენილია წმინდა ღირებულებით, როგორც ფინანსური შემოსავალი ან ფინანსური ხარჯი, იქიდან გამომდინარე უცხოური ვალუტის მოძრაობით მიღებული შედეგი წმინდა შემოსავალია თუ წმინდა ხარჯი.

გ) გარიგებები უცხოურ ვალუტაში

გარიგებები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება კომპანიის შესაბამის ფუნქციონალურ ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ დადგენილი ოფიციალური სავალუტო გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიცვლება ფუნქციონალურ ვალუტაში, ამავე თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც დაიანგარიშდება სამართლიანი ღირებულებით, კონვერტირდება ფუნქციონალურ ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის

სს „თბილისის სასკოლო ინვენტარის ფაბრიკა“

ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში, რომელიც გამოთვლილია ისტორიული ღირებულების საფუძველზე გადაყვანილია ტრანზაქციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. ვალუტის გადაფასებით გამოწვეული საკურსო სხვაობა აისახება პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსები 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შესაბამისად შეადგენდა **2.6766** ლარს 1 აშშ დოლართან მიმართებაში, **3.0701** ლარს 1 ევროსთან მიმართებაში, ხოლო ხოლო 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შესაბამისად შეადგენდა **2.8677** ლარს 1 აშშ დოლართან მიმართებაში, **3.2095** ლარს 1 ევროსთან მიმართებაში.

დ) დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები

თანამშრომელ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები აღიარდება გაწეული მომსახურების საფუძველზე არადისკონტირებული ღირებულებით და შესაბამისად აისახება ხარჯებში. ასანაზღაურებელი თანხა აღიარდება მოკლევადიანი ვალდებულების სახით, თუ კომპანიას გააჩნია ამ თანხის სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება წარსულში დაქირავებულ პირთაგან მიღებული მომსახურების საფუძველზე და ეს ვალდებულებები შეიძლება შეფასდეს საიმედოდ.

ე) გადასახადები

მოგების გადასახადის ხარჯი მოიცავს მიმდინარე და გადავადებული მოგების გადასახადების ხარჯებს. მოგების გადასახადის ის ნაწილი, რომელიც პირდაპირ კაპიტალს ეხება აისახება პირდაპირ კაპიტალის მუხლებში.

კომპანიის მიმდინარე მოგების გადასახადი გამოითვლება საგადასახადო მოგების და მოქმედი გადასახადის განაკვეთის გამოყენებით.

გადავადებული მოგების გადასახადი გამოითვლება საბალანსო ვალდებულებების მეთოდით ყველა იმ დროებითი სხვაობების გათვალისწინებით, რომლებშიც წარმოიქმნება ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებით გამოთვლილ აქტივსა (ვალდებულებებსა) და საგადასახადო კანონმდებლობის გათვალისწინებით გამოთვლილ აქტივებს (ვალდებულებებს) შორის.

სს „თბილისის სასკოლო ინვენტარის ფაბრიკა“

ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონპროექტი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის ესტონური მოდელის სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაშია საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა (როგორც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, ლომბარდები), რომლებისთვისაც კანონი ძალაში შევა 2023 წლის 1 იანვრიდან.

ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს არ წარმოეშვებათ დროებითი სხვაობები კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის, შესაბამისად, არ გააჩნიათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები.

ვ) სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. სასაქონლო-მატერიალური მარაგების ღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი მეთოდის გამოყენებით და შეიცავს დანახარჯებს, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეძენასთან და სხვა დანახარჯებს, რომელიც მოიცავს მისი მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისათვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდ ფასს გამოკლებული დანახარჯები, დაკავშირებული აქტივის გაყიდვასთან.

ზ) ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

კომპანია ძირითად საშუალებებს და არამატერიალურ აქტივებს აღრიცხავს მათი შეძენის (ისტორიული) ღირებულებით და არიცხავს ცვეთას წრფივი მეთოდით, მათი სასარგებლო მომსახურების ხანგრძლივობის მიხედვით:

შენობები - 4%;

ნაგებობები - 4%;

მანქანა-დანადგარები - 8%;

ძალოვანი მოწყობილობები - 10%;

ოფისის აღჭურვილობა - 20%;

სს „თბილისის სასკოლო ინვენტარის ფაბრიკა“

ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

კომპიუტერული ტექნიკა და პერიფერიული მოწყობილობები - 20%

ავტოსატრანსპორტო საშუალებები - 10%;

სხვა ამორტიზებადი ძირითადი საშუალებები - 20%;

არამატერიალური აქტივები - 10%.

ძირითადი საშუალება იცვითება იმ თვიდან, როდესაც ხდება მისი ექსპლუატაციაში გაშვება ან ის მზადაა ექსპლუატაციაში გაშვებისთვის.

შეკეთებასთან ან განახლებასთან დაკავშირებული ხარჯები ირიცხება წარმოშობისთანავე და მათი ჩართვა ხდება სხვა საოპერაციო ხარჯებში, თუ არ არსებობს მათი კაპიტალიზაციის საფუძველი.

თ) საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონებით ხდება საიჯარო შემოსავლის მიღება და / ან ქონების ფასის ზრდით მოგების მიღება. საინვესტიციო ქონება თავდაპირველი აღიარებისას აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მოიცავს შესყიდვის ფასს და შემენასთან დაკავშირებულ ნებისმიერ პირდაპირ ხარჯს. თავდაპირველი აღიარების შემდეგ, საინვესტიციო ქონების აღირიცხვა ხდება თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთის და გაუფასურების ზარალის გამოკლებით. (ისტორიული) ღირებულებით და არიცხავს ცვეთას წრფივი მეთოდით, მათი სასარგებლო მომსახურების ხანგრძლივობის მიხედვით (25 წელი). მიწა არ იცვითება. თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხდება სასარგებლო მომსახურების ვადის, ნარჩენი ღირებულების და ცვეთის მეთოდების გადახედვა და ნებისმიერი ცვლილება აღირიცხება პერსპექტიულად. საინვესტიციო ქონების აღიარება წყდება მისი გაყიდვის შემთხვევაში ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აქტივიდან. საინვესტიციო ქონების გაყიდვის შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვებიდან მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის ნარჩენ საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალში.

ი) ფინანსური აქტივების თავდაპირველი აღიარება

ბასს 39-ის სტანდარტის შესაბამისად, ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება სამართლიანი ღირებულებით შეფასებულ და მოგებასა და ზარალში ასახულ ფინანსურ აქტივებად, სესხებად და მოთხოვნებად, დაფარვის ვადამდე ფლობილ ფასიან ქაღალდებად ან გასაყიდად გამიზნულ ფინანსურ აქტივებად. კომპანია განსაზღვრავს ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას მათი თავდაპირველი აღიარებისას და მოგვიანებით შეიძლება მოახდინოს ფინანსური აქტივების რეკლასიფიკაცია ქვემოთ მოცემულ შემთხვევებში.

აღიარების თარიღი

სს „თბილისის სასკოლო ინვენტარის ფაბრიკა“

ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

ფინანსური აქტივების ყოველგვარი ყიდვა-გაყიდვა ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში აღიარებულია გარიგების თარიღით, ანუ იმ თარიღით, როდესაც კომპანიამ აქტივების შესყიდვის ვალდებულება იკისრა. ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში ყიდვა-გაყიდვა ნიშნავს ფინანსური აქტივების ისეთ ყიდვა-გაყიდვას, რაც მოითხოვს აქტივების გადაცემას კანონმდებლობით ან საბაზრო პრაქტიკით განსაზღვრულ ვადაში.

სესხები და მისაღები ანგარიშები

სესხები და მისაღები ანგარიშები არის არაწარმოებული ფინანსური აქტივები, ფიქსირებული ან განსაზღვრული გადახდებით, რომლებიც არ არის კოტირებული აქტიურ ბაზარზე. აღნიშნული ინსტრუმენტები არ არის განკუთვნილი სასწრაფო ან მოკლევადიანი გადაყიდვისათვის და არ არის კლასიფიცირებული, როგორც სავაჭრო ფასიანი ქაღალდები ან გასაყიდად გამიზნული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები. აღნიშნული აქტივები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით მოქმედი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. მოგება და ზარალის აღიარება მოგებაში ან ზარალში ხდება სესხებისა და მისაღები ანგარიშების აღიარების შეწყვეტის ან გაუფასურების შემთხვევაში, ასევე ამორტიზაციის პროცესში.

ფინანსური აქტივების რეკლასიფიკაცია

თუ გასაყიდად ფლობილის კატეგორიაში შესული არაწარმოებული ფინანსური აქტივი აღარ არის უახლოეს მომავალში გასაყიდად გამიზნული, შესაძლებელია მისი რეკლასიფიკაცია სამართლიანი ღირებულებიდან მოგების ან ზარალის მეშვეობით, შემდეგ შემთხვევებში:

- ფინანსური აქტივი, რომელიც დააკმაყოფილებს სესხებისა და მისაღები ანგარიშების კატეგორიის განსაზღვრებას, შესაძლოა რეკლასიფიცირებული იქნას სესხებისა და მისაღები ანგარიშების კატეგორიაზე, თუ კომპანიას აქვს განზრახვა და შესაძლებლობა შეინახოს აღნიშნული აქტივი განსაზღვრული დროით, ვადის გასვლამდე;
- იშვიათ შემთხვევებში, სხვა ფინანსური აქტივები შესაძლოა რეკლასიფიცირებული იქნას გასაყიდად არსებულ ან დაფარვის ვადამდე შენარჩუნებულ კატეგორიებზე.

გასაყიდად არსებულად კლასიფიცირებული ფინანსური აქტივი, რომელიც დააკმაყოფილებს სესხებისა და მისაღები ანგარიშების კატეგორიის განსაზღვრებას, შესაძლოა რეკლასიფიცირებული იქნას სესხებისა და მისაღები ანგარიშებზე, თუ კომპანიას აქვს განზრახვა და შესაძლებლობა, შეინახოს აღნიშნული აქტივი განსაზღვრული დროით, ვადის დადგომამდე;

ფინანსური აქტივის რეკლასიფიკაცია ხდება მისი სამართლიანი ღირებულებით რეკლასიფიკაციის თარიღისათვის. არ ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აღიარებული ნებისმიერი მოგების ან ზარალის შებრუნება. ფინანსური აქტივის სამართლიანი

სს „თბილისის სასკოლო ინვენტარის ფაბრიკა“

ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

ღირებულება რეკლასიფიკაციის თარიღისთვის წარმოადგენს მის ახალ ღირებულებას ან ამორტიზებად ღირებულებას.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

კომპანია ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის აფასებს, არსებობს თუ არა ფინანსური აქტივების ჯგუფის გაუფასურების ობიექტური ნიშნები. ფინანსური აქტივი თუ ფინანსური აქტივების ჯგუფი გაუფასურებულად მხოლოდ მაშინ მიიჩნევა, თუ არსებობს რამე შემთხვევის ან შემთხვევების შედეგად გამოწვეული გაუფასურების არსებობის ობიექტური საფუძველი, რომელსაც ადგილი ჰქონდა აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდეგ („ზარალის დადგომის შემთხვევა“) და ზარალის დადგომის შემთხვევას ან შემთხვევებს გავლენა აქვს ფინანსური აქტივისა თუ ფინანსური აქტივების ჯგუფის სავარაუდო სამომავლო ფულად ნაკადებზე, რომელთა სარწმუნოდ განსაზღვრაც შესაძლებელია.

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივის (ან, სადაც მისაღებია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან ანალოგიური ფინანსური აქტივის ჯგუფის ნაწილის) ჩამოწერა ხდება თუ:

- ამოიწურა აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების ვადა;
- კომპანიამ დათმო აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო მესამე პირებისათვის თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება; და
- კომპანიამ გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი; არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი იფარება, ბათილდება ან ამოიწურება. როდესაც არსებულ ფინანსურ ვალდებულებას ცვლის მეორე ფინანსური ვალდებულება იმავე კრედიტორის მიმართ მნიშვნელოვნად შეცვლილი პირობებით, ან თუ მიმდინარე ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება თუ მოდიფიკაცია აღირიცხება, როგორც თავდაპირველი

სს „თბილისის სასკოლო ინვენტარის ფაბრიკა“

ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

ვალდებულების აღიარების გაუქმება და ახალი ვალდებულების აღიარება, ხოლო შესაბამისი საბალანსო ღირებულების სხვაობა აისახება მოგებაში ან ზარალში.

კ) ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს კომპანიისთვის წარმოადგენს, ნაღდი ფული კომპანიის სალაროში, ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

ლ) მოთხოვნები საქმიანობიდან და სხვა მიმდინარე მოთხოვნები

მოთხოვნები წარმოადგენენ ყველა მიმდინარე მოთხოვნებს მიწოდებიდან, წინასწარ გადახდილი გადასახადების და წინასწარ გაწეული ხარჯების გარდა.

სავაჭრო და სხვა დებიტორული მოთხოვნების აღიარება ხდება სამართლიანი ღირებულებით და შემდგომში შეფასებული ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდით, გამოკლებული გაუფასურების დანაკარგი. დებიტორული დავალიანების გაუფასურების დანაკარგი ჩამოყალიბებულია, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულებები, რომ კომპანია ვერ შეძლებს ყველა თანხის შეგროვებას მისაღები მოთხოვნების მიხედვით.

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში რეზერვში ცვლილებების ოდენობა აისახება მოგება-ზარალის ანგარიშებზე. ნებისმიერი მოთხოვნის ჩამოწერის ასახვა ხდება არსებული საექვო მოთხოვნების რეზერვის ანგარიშზე. ყველა სავაჭრო მოთხოვნა, პირდაპირ ჩამოიწერება და აღიარდება პერიოდის მოგება-ზარალში.

მ) სააქციო კაპიტალი

კომპანიის სააქციო კაპიტალი მოიცავს კომპანიის მიერ გამოცემულ ჩვეულებრივ აქციებს.

ნ) დამატებითი შენატანები კაპიტალში

საზოგადოების კაპიტალი შეიძლება გაიზარდოს აქციონერთა საერთო კრების გადაწყვეტილების შესაბამისად, აქციების ემისიის გზით. ასეთ შემთხვევაში, კაპიტალი გაიზარდება ახლადგამოშვებული აქციების პროპორციულად.

ო) აქტივების გაუფასურება

ფინანსური აქტივი შეფასდება ყოველ ანგარიშგების დღეს იმ მიზნით, რომ განისაზღვროს არსებობს თუ არა მისი გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება. ფინანსური აქტივი ჩაითვლება გაუფასურებულად იმ შემთხვევაში, თუ ობიექტური მტკიცებულებით ნაჩვენებია აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდგომ ზარალის შემთხვევა, რაც შესაძლებელია უარყოფითად აისახოს აღნიშნული აქტივის სამომავლო ფულადი ნაკადების შეფასებაში, რაც ფასდება საიმედოდ.

პ) ხარჯების აღიარება

კომპანია გასწევს ხარჯებს საქმის წარმოებაზე თავის საოპერაციო საქმიანობის პროცესში, ასევე აქვს სხვა ხარჯები, რაც არ უკავშირდება მის ძირითად საქმიანობას. ხარჯების აღიარება ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა შემცირება მომავალი ეკონომიკური სარგებლისა, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. ხარჯების აღიარება ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, გაწეული ხარჯებისა და შემოსავლების შორის უშუალო შეპირისპირების საფუძველზე, შემოსავლების კონკრეტული მუხლების მიხედვით. თუკი ეკონომიკური სარგებლის წარმოშობა მოსალოდნელია რამდენიმე საანგარიშო პერიოდის მანძილზე და კავშირი შემოსავალთან შეიძლება მოიძებნოს მთლიანად ან ნაწილობრივ, მაშინ მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ხარჯის აღიარება მოხდება რაციონალური გადანაწილების მეთოდით. ხარჯის აღიარება ხდება მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში დაუყოვნებლივ, თუ ხარჯი აღარ ქმნის მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან როცა მომავალი ეკონომიკური სარგებელი არ შეესაბამება ან აღარ შეესაბამება ბალანსში აქტივად აღიარების მოთხოვნებს.

4. შეცდომების გასწორება

კომპანიამ მოახდინა წინა პერიოდში დაფიქსირებული შეცდომების გასწორება (არ იყო გამოანგარიშებული სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურება) მიმდინარე პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, რამაც შემდეგი გავლენა იქონია კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაზე 2018 წლის 1 იანვრისა და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მდგომარეობით:

სს „თბილისის სასკოლო ინვენტარის ფაბრიკა“

ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

ეფექტი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაზე 1 იანვარი, 2018	წინა ანგარიშის მიხედვით	მაკორექტირებელი შესწორება	კორექტირებული თანხა
დებიტორული დავალიანება მიწოდებიდან და მომსახურებიდან	604,444	(263,835)	340,609
გაუნაწილებელი მოგება	5,763,033	(263,834.660)	5,499,198

ეფექტი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაზე 31 დეკემბერი, 2018	წინა ანგარიშის მიხედვით	მაკორექტირებელი შესწორება	კორექტირებული თანხა
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	714,673	(345,333)	369,339
გაუნაწილებელი მოგება	6,190,500	(345,333)	5,845,167

ეფექტი მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაზე 2018	წინა ანგარიშის მიხედვით	მაკორექტირებელი შესწორება	კორექტირებული თანხა
სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ხარჯი	-	81,498	81,498

5. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

	ნაშთი 31.12.2019 (ლარი)	ნაშთი 31.12.2018 (ლარი)	ნაშთი 01.01.2018 (ლარი)
ფული საბანკო ანგარიშებზე	3,432,890	2,901,242	3,072,151
	3,432,890	2,901,242	3,072,151

კომპანიას ანგარიშები გახსნილი აქვს მხოლოდ რეზიდენტ ბანკებში.

6. დებიტორული დავალიანება მიწოდებიდან და მომსახურებიდან

	ნაშთი 31.12.2019 (ლარი)	ნაშთი 31.12.2018 (ლარი)	ნაშთი 01.01.2018 (ლარი)
სავაჭრო მოთხოვნები	736,935	714,673	660,565
საექვო მოთხოვნების რეზერვი	(402,434)	(345,333)	(263,835)
	334,502	369,339	396,730

სს „თბილისის სასკოლო ინვენტარის ფაბრიკა“

ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

7. ავანსები და წინასწარ გაწეული ხარჯები

	ნაშთი 31.12.2019 (ლარი)	ნაშთი 31.12.2018 (ლარი)	ნაშთი 01.01.2018 (ლარი)
მიმწოდებლისთვის გადახდილი ავანსები	1,942	1,001	945
	1,942	1,001	945

8. სასაქონლო-მატერიალური მარაგი

	ნაშთი 31.12.2019 (ლარი)	ნაშთი 31.12.2018 (ლარი)	ნაშთი 01.01.2018 (ლარი)
ნედლეული	359,399	373,871	498,503
მზა პროდუქცია	243,597	260,507	264,734
სათადარიგო ნაწილები	16,458	18,057	17,514
საწვავი	3,296	4,892	4,109
სხვა სასაქონლო მატერიალური ფასეულებები	713	713	10,156
	623,464	658,040	795,016

9. წინასწარ გადახდილი გადასახადები

	ნაშთი 31.12.2019 (ლარი)	ნაშთი 31.12.2018 (ლარი)	ნაშთი 01.01.2018 (ლარი)
ერთიანი საგადასახადო ბარათი	45,516	8,879	54,381
	45,516	8,879	54,381

სს „თბილისის სასკოლო ინვენტარის ფაბრიკა“

ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

2016 წლამდე საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით შესაძლებელი იყო სხვადასხვა გადასახადების გადახურვა, თუ ერთ გადასახადში კომპანიას ავანსად გადახდა უფიქსირდებოდა, ხოლო მეორე გადასახადში დავალიანება.

2016 წლის დასაწყისში საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით გაერთიანდა გადასახადების ბარათები და საწარმოს დავალიანება/ავანსი ბიუჯეტის მიმართ აისახება ერთიან საგადასახადო ბარათზე ჯამურად.

10. სხვა მიმდინარე ქტივები

	ნაშთი 31.12.2019 (ლარი)	ნაშთი 31.12.2018 (ლარი)	ნაშთი 01.01.2018 (ლარი)
მოთხოვნები ანგარიშვალდებული პირების მიმართ	2	-	41
ტენდერში მონაწილეობის საგარანტიო თანხები	3,639	1,301	1,114
წაყენებული პრეტენზიები	4,736	4,736	4,336
	8,377	6,037	5,491

11. ძირითადი საშუალებები

ღირებულება	მიწა	შენობა- ნაგებობები	მანქანა- დანადგარები	საწარმოო ადგილები	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
1 იანვარი 2018	10,588	1,108,429	1,265,409	55,012	385,011	2,824,449
შეძენა		105,935	54,791	15,033		175,759
ჩამოწერა			(5,119)			(5,119)
31 დეკემბერი 2018	10,588	1,214,364	1,315,082	70,045	385,011	2,995,089
შეძენა		13,124	1,425	12,347	112,777	139,673.00
ჩამოწერა			(4,783)	(8,500)		(13,283)
31 დეკემბერი 2019	10,588	1,227,487	1,311,724	73,892	497,788	3,121,479
დაგროვილი ცვეთა						
1 იანვარი 2018	-	(590,266)	(559,662)	(38,307)	(153,111)	(1,341,346)
დარიცხვა		(41,561)	(92,594)	(6,481)	(36,740)	(177,375)
ჩამოწერა			2,242			2,242
31 დეკემბერი 2018	-	(631,827)	(650,014)	(44,788)	(189,851)	(1,516,479)
დარიცხვა		(43,806)	(96,113)	(9,150)	(38,040)	(187,107)
ჩამოწერა			3,112	8,500		11,612
31 დეკემბერი 2019	-	(675,633)	(743,014)	(45,438)	(227,891)	(1,691,975)
წმინდა საბალანსო ღირებულება						
1 იანვარი 2018	10,588	518,163	705,747	16,705	231,900	1,483,103
31 დეკემბერი 2018	10,588	582,537	665,068	25,257	195,160	1,478,610
31 დეკემბერი 2019	10,588	551,855	568,710	28,454	269,897	1,429,505

12. საინვესტიციო ქონება

საანგარიშგებო პერიოდებში კომპანიის საინვესტიციო ქონებები მდებარეობს ქ. თბილისში. შემოსავლიანი აქტივები მოიცავს სასაწყობო ფართებს, მათ შორის იმ მიწის ნაკვეთს, რომელიც საჭიროა იჯარის გენერირების მიზნით. თავისუფალი აქტივი მოიცავს იმ შენობა/ნაგებობებს და მიწის ნაკვეთებს, რომლებიც ანგარიშგების თარიღისთვის არ არის იჯარით გაცემული, არამედ არის კომპანია მფლობელობაში კაპიტალური ღირებულებების გაზრდის მიზნით, ან სამომავლოდ იჯარით გასაცემად.

სს „თბილისის სასკოლო ინვენტარის ფაბრიკა“

ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

საინვესტიციო ქონება

	მიწა	შენობა- ნაგებობები	სულ
ღირებულება			
1 იანვარი 2018	-	485,761	485,761
შეძენა	464,344	284,945	749,289
31 დეკემბერი 2018	464,344	770,706	1,235,050
შეძენა		7,834	7,834
31 დეკემბერი 2019	464,344	778,540	1,242,884
დაგროვილი ცვეთა			
1 იანვარი 2018	-	(288,632)	(288,632)
დარიცხვა		(20,463)	(20,463)
31 დეკემბერი 2018	-	(309,095)	(309,095)
დარიცხვა		(30,826)	(30,826)
31 დეკემბერი 2019	-	(339,922)	(339,922)
წმინდა საბალანსო ღირებულება			
1 იანვარი 2018	-	197,129	197,129
31 დეკემბერი 2018	464,344	461,611	925,954
31 დეკემბერი 2019	464,344	438,619	902,962

13. ვალდებულებები, წარმოქმნილი მიწოდებიდან და მომსახურებიდან

	ნაშთი 31.12.2019 (ლარი)	ნაშთი 31.12.2018 (ლარი)	ნაშთი 01.01.2018 (ლარი)
კრედიტორული დავალიანება რეზიდენტი სავაჭრო კრედიტორების წინაშე	7,699	6,340	10,914
	7,699	6,340	10,914

14. შემოსავალი რეალიზაციიდან და მომსახურებიდან

	2019 წელი (ლარი)	2018 წელი (ლარი)
შემოსავალი რეალიზაციიდან	707,372	614,108
შემოსავალი საიჯარო მომსახურებიდან	1,023,676	1,048,190
	1,731,048	1,662,298

15. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

	2019 წელი (ლარი)	2018 წელი (ლარი)
რეალიზებული ავეჯის თვითღირებულება	406,191	384,131
	406,191	384,131

16. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2019 წელი (ლარი)	2018 წელი (ლარი)
შრომის ანაზღაურება	477,879	422,005
სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ხარჯი	57,100	81,498
საწვავის ხარჯი	32,407	39,090
შენობა-ნაგებობების საექსპლუატაციო ხარჯები	4,006	3,767
ხელსაწყოების დამხმარე მასალების ჩამოწერა	8,857	5,298
საამქრობიდან		
კომუნალური ხარჯები	54,984	70,171
საკონსულტაციო და აუდიტის ხარჯები	4,364	16,259
საგადასახადო ხარჯები	35,294	34,808
მივლინების ხარჯები (საერთო- ადმინისტრაციული)	12,003	15,631
ავტომანქანის-საექსპლუატაციო ხარჯები	18,498	19,839
საქველმოქმედო ხარჯები	4,416	5,923
სხვა ადმინისტრაციული ხარჯები	17,481	16,434
	727,290	730,723

17. ფინანსური აქტივების და ვალდებულების სამართლიანი ღირებულება

სამართლიანი ღირებულების წინასწარი გაანგარიშება მიზნად ისახავს სავარაუდო ფასის მიახლოებით განსაზღვრას, რომელიც მიღებული იქნება აქტივის გასაყიდად ან გადახდილი იქნება ვალდებულების გადაცემისთვის თანმიმდევრული ტრანზაქციის გზით ბაზრის მონაწილეებს შორის შეფასების დღეს. ამასთან, გაურკვევლობის გათვალისწინებით და სუბიექტური განსჯის მეშვეობით, სამართლიანი ღირებულება არ უნდა იქნეს ინტერპრეტირებული, როგორც რეალიზებადი აქტივების დაუყოვნებელი ნასყიდობის გზით ან ვალდებულებათა გადაცემის მეშვეობით.

კომპანიამ განსაზღვრა ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულებები შეფასებითი ტექნიკის გამოყენებით. შეფასების ტექნიკების მიზანია სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა, რომელიც ასახავს ფასს, რომელიც უნდა იქნეს მიღებული აქტივის გასაყიდად ან გადახდილი ვალდებულების გადაცემისთვის თანმიმდევრული ტრანზაქციის ფარგლებში ბაზრის მონაწილეებს შორის შეფასების დღეს. გამოყენებული შეფასებითი ტექნიკა არის დისკონტირებული ფულადი საშუალებების მოძრაობის მოდელი. ყველა ფინანსური აქტივის და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება დაანგარიშდება მომავალში ძირითადი თანხისა და დარიცხული პროცენტების ფულადი საშუალებების მოძრაობის საფუძველზე, რომელთა დისკონტირება ხდება ანგარიშგების დღეს პროცენტის საბაზრო განაკვეთით.

ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება მიახლოებით მათი საბალანსო ღირებულების ტოლია.

18. რისკების მართვა

მმართველობითი სისტემა

კომპანიის რისკისა და ფინანსური მართვის სისტემის მთავარი მიზანია დაცვა ისეთი მოვლენებისგან, რომლებიც აბრკოლებს კომპანიის მიზნების მიღწევას და შესაძლებლობების გამოყენებას. კომპანია აანალიზებს რისკების ეფექტური და ეფექტიანი მართვის სისტემის უდიდეს მნიშვნელობას. დანერგილია პოლიტიკა, რომელიც განსაზღვრავს კომპანიის რისკზე ორიენტირებულობას, რისკის მართვას, კონტროლსა და საქმიანობის სტანდარტებს.

ფინანსური ინსტრუმენტებით სარგებლობიდან გამომდინარე, კომპანია დგას შემდეგი რისკების წინაშე:

- საკრედიტო რისკი ;
- ლიკვიდურობის რისკი ;
- საბაზრო რისკი.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი წარმოადგენს რისკს, როდესაც ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობა იწვევს მეორე მხარის ფინანსურ ზარალს. კომპანია მართავს საკრედიტო რისკის დონეს, რომელზეც იგი პასუხისმგებელია საკრედიტო რისკის საერთო პოლიტიკით, რომელშიც შეფასებული და განსაზღვრულია, რა წარმოადგენს

სს „თბილისის სასკოლო ინვენტარის ფაბრიკა“

ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

კომპანიისთვის საკრედიტო რისკს, რისკის ლიმიტი თითოეული კონტრაგენტის, გეოგრაფიული მდებარეობისა და საქმიანობის სფეროსთვის, გაქვითვის უფლება, როდესაც კონტრაგენტები ერთდროულად მოვალეები არიან და კრედიტორებიც.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ საწარმოს შეექმნება სირთულეები მიმდინარე ფინანსური ვალდებულებების დაფარვის საკონტრაქტო პირობების შესრულებისას, რამაც შესაძლოა, მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს კომპანიის ფუნქციონირებაზე. ლიკვიდურობის რისკის წინდახედული მექანიზმი გულისხმობს საკმარისი თანხისა და საკრედიტო რესურსების ქონას, რათა დაკმაყოფილებულ იქნას ბაზრის მოთხოვნები.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების გავლენით.

საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას საწარმოს მიერ პროცენტიანი, სავაჭრო ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები იმერყევებს საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო (საპროცენტო რისკი) და უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის გამო (სავალუტო რისკი):

საპროცენტო რისკი

საპროცენტო რისკი არის რისკი (ცვალებადი ღირებულებით), რომელსაც ატარებს პროცენტიანი აქტივი, როგორიცაა სესხი, მცოცავი საპროცენტო განაკვეთის არსებობის გამო. საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიქმნება, როდესაც მოცემული ვადიანობის ფაქტობრივი ან მოსალოდნელი აქტივები მეტია ან ნაკლებია იმავე ვადიანობის ფაქტობრივ ან მოსალოდნელ ვალდებულებებზე.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი წარმოიშობა ერთი ვალუტის მიმართ მეორის ფასის ცვლილებით. სავალუტო რისკი გავლენას ახდენს კომპანიის ფინანსური რისკების განსაზღვრაზე. კომპანია ატარებს სავალუტო რისკს, რომელიც დაკავშირებულია მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებთან.

სს „თბილისის სასკოლო ინვენტარის ფაბრიკა“

ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

მგრძნობელობის ანალიზი

ლარის შესაძლო გამყარება/შესუსტება, როგორც ეს ქვემოთაა ნაჩვენები, ევროსა და აშშ დოლარის მიმართ 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, გავლენას მოახდენს უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფინანსური ინსტრუმენტების შეფასებაზე და კაპიტალზე და მოგება/ზარალზე გადასახადების შემდეგ ქვემოთ მოცემული თანხების ოდენობით. სავალუტო დინამიკა პირდაპირ გავლენას არ მოახდენს სხვა მთლიან შემოსავალსა თუ კაპიტალზე. ანალიზის თანახმად ივარაუდება, რომ ყველა სხვა ცვლადები, განსაკუთრებით საპროცენტო განაკვეთები, რჩება უცვლელი და არ ითვალისწინებს პროგნოზული გაყიდვების და შესყიდვების ზემოქმედებას

31.12.2019

	EUR	USD	სულ
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	47,830	1,186,272	1,234,102
სხვა მიმდინარე აქტივები			-
აქტივები სულ:	47,830	1,186,272	1,234,102
ვალდებულებები სულ:	-	-	-
ნეტო შედეგი	47,830	1,186,272	1,234,102
10% ცვლილება	4,783	118,627	123,410

31.12.2018

	EUR	USD	სულ
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	45,753	1,274,081	1,319,833
სხვა მიმდინარე აქტივები			-
აქტივები სულ:	45,753	1,274,081	1,319,833
ვალდებულებები სულ:	-	-	-
ნეტო შედეგი	45,753	1,274,081	1,319,833
10% ცვლილება	4,575	127,408	131,983

19. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან

ბასს 24-ის („დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“) მიხედვით, მხარეები ითვლებიან დაკავშირებულად, თუ ერთ მხარეს აქვს უნარი, გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. შესაძლო დაკავშირებული მხარეების თითოეული შემთხვევის განხილვისას ყურადღება უნდა მიექცეს არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას, არამედ იმასაც, თუ როგორია მათ შორის ურთიერთობა. დაკავშირებულმა მხარეებმა შეიძლება დადონ ისეთი გარიგებები, როგორსაც არ დადებდნენ დაუკავშირებელი მხარეები და დაკავშირებულ მხარეებს შორის დადებული გარიგებები შეიძლება არ განხორციელდეს იმავე პირობებზე და თანხებზე, როგორზეც დაიდებოდა გარიგებები დაუკავშირებელ მხარეებს შორის.

განხორციელებული ტრანზაქციები

პარტნიორთან და დირექტორთან

	ნაშთი 31.12.201 9	ნაშთი 31.12.201 8	2019 წ.	2018 წ.
ხელფასი			(206,940)	(182,697)
დივიდენდი	9,807	8,752	(45,282)	(40,032)
	9,807	8,752	(252,222)	(222,729)

20. გაუთვალისწინებელი გარემოებები

კანონმდებლობა

საკმაოდ ხშირად ხდება საქართველოს საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობის არაერთგვაროვანი განმარტება და ცვლილება. ხელმძღვანელობის მიერ ამგვარი კანონმდებლობის განმარტებები, რომლებიც გამოიყენება კომპანიის ოპერაციებთან და საქმიანობასთან მიმართებაში, შესაძლებელია ეჭვქვეშ დააყენონ შესაბამისმა რეგიონულმა და სახელმწიფო სამსახურებმა. საქართველოში ბოლო დროს განვითარებული მოვლენები იმაზე მიუთითებს, რომ საქართველოში საგადასახადო ორგანოებს სულ უფრო მკაცრი პოზიცია უჭირავთ კანონმდებლობის ინტერპრეტაციისას და შეფასებებისას და ამის გამო, შესაძლოა ის ოპერაციები და საქმიანობები, რომლებიც წარსულში ეჭვქვეშ არ დამდგარა, სადავო გახდეს მომავალში. ამ სახით, შესაძლოა ადგილი ჰქონდეს მნიშვნელოვან დამატებით გადასახადებს, ჯარიმებსა და საურავებს. არაპრაქტიკულია გაუცხადებელი მოთხოვნების ოდენობის განსაზღვრა, რომელმაც შეიძლება თავი იჩინოს მომავალში, (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ან ნებისმიერი არახელსაყრელი შედეგის ალბათობის

სს „თბილისის სასკოლო ინვენტარის ფაბრიკა“

ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

განსაზღვრა. ფისკალური პერიოდები ღია რჩება შესაბამისი ორგანოების მიერ საგადასახადო შემოწმებისთვის სამი კალენდარული წლის განმავლობაში, შემოწმების წლამდე. ზოგ შემთხვევაში შემოწმებამ შეიძლება მოიცვას უფრო ხანგრძლივი პერიოდებიც. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ შესაბამისი კანონმდებლობის მისებული განმარტება ჯეროვანია და რომ კომპანიის საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო პოზიციებთან დაკავშირებული მონაცემები დარჩება უცვლელად.

სასამართლო დავები

2019 წელს კომპანია მოსარჩელედ მონაწილეობდა ერთ სასამართლო დავაში. 2019 წლის 24 დეკემბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილებით, მოპასუხეს, ი/მ ჯემალ ნიკოლაიშვილს მოსარჩელე „სს თბილისის სასკოლო ინვენტარის ფაბრიკის“ მიმართ დაეკისრა 69957,57 ლარის გადახდა. ასევე მოპასუხეს დაეკისრა მოსარჩელეს მიერ სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი თანხის ანაზღაურება 2099 ლარის ოდენობით, ასევე 50 ლარის გადახდა მოსარჩელის მიერ სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებაზე გადახდილი სახელმწიფოს ბაჟის შესახებ.

სხვა გაუთვალისწინებელი გარემოებები

საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ამის გამო ახასიათებს ხშირი საკანონმდებლო ცვლილებები. ეს ცვლილებები საკმაოდ ბუნდოვან და ხშირად ურთიერთგამომრიცხავ ხასიათს ატარებენ, რითიც საგადასახადო ორგანოებს საშუალებას აძლევენ მოახდინონ ამ ცვლილებების სხვადასხვანაირი ინტერპრეტირება. გადასახადების შემოწმება შესაძლოა სხვადასხვა ორგანოების მიერ იქნას ჩატარებული, რის გამოც კომპანიას სხვადასხვა ხასიათის ჯარიმების, თუ საურავების დაკისრების საფრთხე ექმნება.

ეს გარემოებები ქმნიან ისეთ საგადასახადო რისკს, რომელიც გაცილებით მაღალია საქართველოში ვიდრე სხვა ქვეყნებში. მენეჯმენტი დარწმუნებულია, რომ მის მიერ განხორციელებული მიდგომა საგადასახადო საკითხების მიმართ ადეკვატურია ამ მომენტში საქართველოს მოქმედი საკანონმდებლო ინტერპრეტაციების მიმართ, თუმცა არ არის გამორიცხული ის, რომ ეს ინტერპრეტაციები შემდგომში შეიცვალოს და საგადასახადო ორგანოებს სხვა პოზიცია ჰქონდეთ ანალოგიური საკითხების მიმართ.

21. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

ადგილი ჰქონდა შემდეგ მნიშვნელოვან არამაკორექტირებელ მოვლენას: 2020 წელს, მსოფლიო მასშტაბით, გავრცელდა ახალი კორონავირუსი COVID-19, რაც მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ 2020 წლის 11 მარტს, გამოცხადებულ იქნა პანდემიად. აღნიშნული ვითარების გამო საქართველოში 2020 წლის 21 მარტს გამოცხადდა საგანგებო მდგომარეობა.

შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, კომპანიას შეექმნა უმნიშვნელო ფინანსური სირთულეები, მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ მის ძირითად მომხმარებლებზე არ იმოქმედებს არსებული გარემოება და კომპანია უწყვეტ რეჟიმში შეძლებს ფუნქციონირებას.

გარდა ზემოთ აღნიშნული მოვლენისა, საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ არ მომხდარა სხვა რაიმე სახის მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელიც გამოიწვევდა ფინანსური ანგარიშგების შესწორებას ან/და განმარტებით შენიშვნებში ასახვას.

სს „თბილისის სასკოლო ინვენტარის ფაბრიკა“
ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
(1 ლარი)

	საანგარიშგებო პერიოდი			
	31.12.2019	31.12.2018	01.01.2018 გადაანგარი შებული (შენიშვნა 4) შენიშვნა	
აქტივები	4,446,690	3,944,539	4,324,714	
მიმდინარე აქტივები, სულ:				
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	3,432,890	2,901,242	3,072,151	5
დებიტორული დავალიანება მიწოდებიდან და მომსახურებიდან	334,502	369,339	396,730	6
ავანსები და წინასწარ გაწეული ხარჯები	1,942	1,001	945	7
სასაქონლო-მატერიალური მარაგი	623,464	658,040	795,016	8
წინასწარ გადახდილი გადასახადები	45,516	8,879	54,381	9
სხვა მიმდინარე აქტივები	8,377	6,037	5,491	10
გრძელვადიანი აქტივები, სულ:	2,333,917	2,406,297	1,682,248	
ძირითადი საშუალებები	1,429,505	1,478,610	1,483,103	11
საინვესტიციო ქონება	902,962	925,954	197,129	12
არამატერიალური აქტივები	1,450	1,733	2,016	
სულ აქტივები:	6,780,607	6,350,836	6,006,961	
ვალდებულებები და კაპიტალი	19,296	16,900	18,994	
მოკლევადიანი ვალდებულებები, სულ:				
ვალდებულებები, წარმოქმნილი მიწოდებიდან და მომსახურებიდან	7,699	6,340	10,914	13
გადასახდელი დივიდენდები	9,807	8,752	7,522	
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	1,790	1,807	558	
სულ კაპიტალი:	6,761,310	6,333,936	5,987,967	
საწესდებო (სააქციო) კაპიტალი	488,769	488,769	488,769	
დაგროვილი მოგება / დაუფარავი ზარალი	6,272,541	5,845,167	5,499,198	
ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი				
სულ ვალდებულებები და კაპიტალი:	6,780,607	6,350,836	6,006,961	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2020 წლის 30 სექტემბერს შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორი



უზანგი ბექურაძე



მთავარი ბუღალტერი



ქეთევან სიღამონიძე

თანდართული შენიშვნები მე-6 დან 27-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

სს „თბილისის სასკოლო ინვენტარის ფაბრიკა“
ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
(1 ლარი)

	საანგარიშგებო პერიოდი 2019	შენიშვნა 2018 გადაანგარიშებული (შენიშვნა 4)	
შემოსავალი რეალიზაციიდან და მომსახურებიდან	1,731,048	1,662,298	14
რეალიზებული პროდუქციის/გაწეული მომსახურების თვითღირებულება	(406,191)	(384,131)	15
საერთო მოგება	1,324,857	1,278,166	
მიწოდების ხარჯები	(750)	(850)	
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(727,290)	(730,723)	16
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯები	(218,216)	(198,121)	
სულ საოპერაციო ხარჯები:	(946,257)	(929,694)	
მოგება/ზარალი ძირითადი საშუალების რეალიზაციიდან	5,395	3,823	
დადებითი საკურსო სხვაობები	95,297	40,323	
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები	1,480	728	
სულ არასაოპერაციო შემოსავლები:	102,173	44,874	
უარყოფითი საკურსო სხვაობები	(321)	(506)	(4)
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	(321)	(510)	
სულ არასაოპერაციო ხარჯები:	(642)	(1,016)	
მოგება დაბეგვამდე:	480,451	392,837	
მოგების გადასახადის ხარჯი	(7,795)	(6,836)	
წლის წმინდა მოგება	472,656	386,001	
წლის სრული შემოსავალი:	472,656	386,001	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2020 წლის 30 სექტემბერს შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორი




უზანგი ბექურაძე

მთავარი ბუღალტერი

ქეთევან სიდამონიძე



თანდართული შენიშვნები მე-6 დან 27-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ფულადი ნაკადების ანგარიშგება
(საოპერაციო საქმიანობიდან ნაკადების წარდგენის პირდაპირი მეთოდით)
2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
(1 ლარი)

	საანგარიშგებო პერიოდი	
	2019	2018
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან:		
მყიდველებისა და დამკვეთებისაგან მიღებული ფულადი სახსრები	2,019,579	1,900,554
სხვა შემოსულობიდან საოპერაციო საქმიანობიდან	(503,813)	(500,134)
მიმწოდებლებზე გაცემული ფულადი სახსრები	(442,040)	(428,655)
გაცემული შრომის ანაზღაურება	(12,004)	(15,631)
სამიწვინებო ხარჯების ანაზღაურება	(434,903)	(325,670)
გადახდილი გადასახადები	(9,405)	(1,181)
საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა გაცემები	617,414	629,282
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საოპერაციო საქმიანობიდან		
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან:		
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შეძენა	(147,507)	(811,676)
ძირითადი საშუალებებისა და არამატ. აქტივების გასვლიდან შემოსულობიდან	8,338	7,906
მიღებული პროცენტები	68	60
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საინვესტიციო საქმიანობიდან	(139,101)	(803,710)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან:		
გადახდილი დივიდენდები	(41,963)	(36,800)
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საფინანსო საქმიანობიდან	(41,963)	(36,800)
ვალუტის კურსის ცვლილებებით გამოწვეული ზრდა / კლება (ნეტო)	95,297	40,319
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი:	531,648	(170,909)
ფულადი სახსრები (ეკვივალენტები) პერიოდის დასაწყისისათვის:	2,901,242	3,072,151
ფულადი სახსრები (ეკვივალენტები) პერიოდის ბოლოსათვის:	3,432,890	2,901,242

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2020 წლის 30 სექტემბერს შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორი

უზანგი ბექურაძე

მთავარი ბუღალტერი

ქეთევან სიღამონიძე

თანდართული შენიშვნები მე-6 დან 27-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

სს „თბილისის სასკოლო ინვენტარის ფაბრიკა“
ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
(1 ლარი)

	სააქციო კაპიტალი	გაუნაწილე ბელი მოგება	სულ კაპიტალი
ნაშთი 1 იანვარი 2018 გადაანგარიშებული (შენიშვნა 4)	488,769	5,499,198	5,987,968
წლის მოგება		386,001	386,001
გადახდილი დივიდენდები		(40,032)	(40,032)
ნაშთი 31 დეკემბერი 2018 გადაანგარიშებული (შენიშვნა 4)	488,769	5,845,167	6,333,936
წლის მოგება		472,656	472,656
გადახდილი დივიდენდები		(45,282)	(45,282)
ნაშთი 31 დეკემბერი 2019	488,769	6,272,541	6,761,311

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2020 წლის 30 სექტემბერს შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორი

უზნავი ბექურაიძე

მთავარი ბუღალტერი

ქეთევან სიღამონიძე

თანდართული შენიშვნები მე-6 დან 27-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.